

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი N 20

ხაშური

2018 წლის 31 აგვისტო

15-00 სთ

სხდომის თავმჯდომარე ანა ხარეზავა - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები: ცოტნე ნოზაძე, იმედა მეტრეველი, ნატო კიკაძე, გურამ მაზიაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ : საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი მურმან
ცენგერაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ : ოთარ მახარაშვილი-მერიის
ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 5 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2018 წლის 7
თვეში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა.

მომხს. ო.მახარაშვილი.

2. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის
დამტკიცების შესახებ.

მომხს. ანა ხარეზავა

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი პროექტით წარმოდგენილი სახით.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ I საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ოთარ მახარაშვილის ინფორმაცია ამავე სამსახურის მიერ 2018 წლის 1-ლ იანვრიდან 1 აგვისტომდე პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

აზრი გამოთქვას: ნატო კიკაძემ, იმედა მეტრეველმა, ანა ხარეზავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ოთარ მახარაშვილის ინფორმაცია ამავე სამსახურის მიერ 2018 წლის 1-ლ იანვრიდან 1 აგვისტომდე პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ მიღებული იქნეს ცნობად.

თან ერთვის (დანართი 2 ფურცლად)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ II საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარეზავას განმარტება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით.


აზრი გამოთქვას: იმედა მეტრეველმა, ცოტნე ნოზაძემ, ანა ხარეზავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა არსებული სახით წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე



ანა ხარეზავა